# ივერია

**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებით დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვი ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893



## წიგნის მაღაზია დ. საჩხერეს

ყარამან ტ. ჩხეიძისა

დაბა საჩხერეში დაარსდა წიგნის მაღაზია, სადაც ისყიდება გამოცემის ფასად ყოველნაირი ქართული წიგნები და სახელმძღვანელოები. იქვე იშოვება ძალიან იაფად ქაღალდი, რუსულ-ქართული რვეულები და ყოველ ნაირი სამწერლო ნივთები.

(3—2)


## თავისუფლების მოციქული

—

ინგლისის პარლამენტმა ხელმეორედ შეიწყნარა გლადსტონის პროექტი ირლანდიის ავტონომიის შესახებ. ეხლა მხოლოდ ლორდებზე არის დამოკიდებული, რომ ეს პროექტი, კანონად გადიქცეს და ირლანდიის ერს თვით მართველობის უფლება მიენიჭოს. შესაძლებელია, რომ ინგლისის უმაღლეს წოდების კრებული არ დასთანხმდეს ირლანდიის ესრეთს განკერძოებას, მაგრამ ამით გლადსტონისაგან დაწყებული საქმე არ ჩაითუშება; მთავარ-მინისტრი დაეკითხება ამ შემთხვევაში ინგლისის ერს და, უეჭველია, იგი მიიღებს იმავე პასუხს, როგორც წინად: რომ ინგლისის ერი თანაუგრძნობს „დიდებულ მოხუცის“ აზრს —მიენიჭოს ირლანდიას სრული თავისუფლება თავის შინაგან ცხოვრებაში.

ხასიათის სიმტკიცე, დაჟინებული და მედგარი ბრძოლა თავის აზრისათვის იშვიათი არ არის ინგლისელისათვის, მაგრამ იმ გასაოცარს და შეუფერხებელს სიმხნეს, რომელსაც იჩენს გლადსტონი სიყმაწვილიდან ღრმა მოხუცებულობამდის, განცვიფრებაში მოჰყავს არა თუ ინგლისის ერი, არამედ მთელი კაცობრიობა.

ისტორია ძვირად წარმოგვიდგენს ისეთს ბრძენს, განათლებულს და უანგარო საზოგადო მოღვაწეს, როგორიც არის 80 წლის ინგლისის მართებლობის მეთაური ვილლიამ გლადსტონი. ამ კაცში ბუნებამ თითქოს საგანგებოდ მოჰკრიბა, რაც-კი რამ მშვენიერი და ძვირფასი მოეპოვებოდა.

ინგლისელი ყველაფერში განსხვავებულია და, რასაკვირველია, ამ შემთხვევაშიც იქ ესვე თვისება იჩენს თავს. ვის უნახავს, როდის და რომელს ქვეყანაში, რომ თითონ მართებლობის პირველი კაცი იმასა სცდილობდეს, უფლება შეიმციროს და მიანიჭოს თავისუფლება თითოეულს ქვეყნის ნაწილს?

წინააღმდეგი მაგალითი-კი მრავალია, რომ ქვეყნები სცდილობენ, ბუნებრივი სიმართლე გამოითხოვონ მართებლობისაგან, მორთონ თავისი ცხოვრება ისეთ გვარად, როგორც საჭიროა და გამოსადეგი ქვეყნის წარმატებისათვის, და არა ისე, როგორც მოიფიქრებს რამდენიმე ათასის ვერსზე კაბინეტში რომელიმე „ჩინოვნიკი“, რომელიც არც ქვეყანას იცნობს და არც ქვეყნის საჭიროებას.

გლადსტონის აზრით, არა თუ თითოეული ინგლისის ნაწილისათვის, არამედ მთელი ინგლისის ერისათვის ბევრად უფრო სასარგებლოა და, რასაკვირველია, სამართლიანიც, რომ ყოველს კუთხეს ინგლისისას თავის შინაგანი მართებლობა ჰქონდეს. ცხადია, ირლანდიის ხალხის საჭიროება თითონ ირლანდიელმა უფრო კარგად უნდა იცოდეს და უკეთესად უნდა მიხვდეს, თუ როგორ მოევლება რომელსამე ქვეყნის საქმეს, ვიდრე ლონდონის სამინისტროს „ჩინოვნიკმა“.

თუმცა ამ ნაირი აზრი გლადსტონისა, რომ თითოეულს ქვეყნებს, ინგლისის სამეფოში შემავალს მიეცეს სრული თვით-მართველობა შინაგან საქმეებში, მოწინააღმდეგეთა არ მოსწონთ და ამბობენ, რომ ეს სახელმწიფოს დასუსტება არისო, მაგრამ გამოცდილი სახელოვანი მოღვაწე სულ სხვა ნაირად სჯის. იგი ამბობს: სამეფოს ძლიერება ერთა შორის უსამართლობაზე და ძალადობაზეკი არ უნდა იყოს დამყარებული, არამედ სრულს თანასწორობაზე და სიყვარულზე ურთიერთ შორისო; მხოლოდ ამ წესით მოწყობილს ქვეყანას აქვს სანუგეშო და ბედნიერი მერმისიო. ამ ნაირი კილო და აზრი, დიაღ, შეშვენის იმ თავისუფლების მოციქულს, როგორიც არის დღეს ღრმა მოხუცი გლადსტონი არა თუ ინგლისში, არამედ მთელს ცას ქვეშეთში.

გლადსტონმა ჩინებულად განამართლა ინდოთა ქვეყნის დალოცვა, რომელიც ამბობს: „პაწია ყრმავ! როცა პირველად მოდიხარ ქვეყანაში, შენ სტირი და შენს გარეშემო ყველას სიხარულის ღიმილი მოსდის; ჰქმენ ისე, რომ, როცა ქვეყანას ეთხოვებოდე და თავს ანებებდე, ყველანი სტიროდნენ და მარტო შენ-კი ღიმილი მოგდიოდეს“.

დიაღ, გლადსტონს შეუძლიან ამ გვარად სიკვდილი, რადგანაც მან შეასრულა თავისი მოვალეობა არა თუ მარტო ინგლისის წინაშე, არამედ მთელის კაცობრიობისა. იგი იყო, და არის დღესაც მოსარჩლე და მეგობარი ყველა დაჩაგრულთა და დამონებულ ერთათვის და სანამდის დავალებულს მისგან ხალხთ ხსოვნა შერჩებათ, გლადსტონი იქნება მათთვის უწარჩინებულესი თავისუფლების მოციქული.

მეველე

—◆◆—

## ახალი ამბავი

⁂ მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი ვლადიმირი 24 ივლისს მარტყოფის მონასტერში წაბძანდა.

⁂ მისი ყოვლად-უსამღვდელოესობა, გორის ეპისკოპოზი ალექსანდრე შიო მღვიმელის მონასტრის გზაზე გაციებულა და შეუძლოდ ბრძანდება.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტრის მოადგილემ განკარგულება მოახდინა, რომ ქალაქის ბოქაულებმა ყოველი ღონისძიება მიიღონ აქ დროებით მცხოვრებთაგან სახელმწიფო ხარჯის გადასახდევინებლად, რავდენიც არის შეწერილი ტფილისის სახაზინო პალატისაგან.

⁂ გუშინ ტფილისის პოლიცმეისტრის მოადგილემ ავლაბარში აღმოაჩინა რამდენიმე საწყობი, სავსე ხაზინიდგან მოპარულ ნივთებით. ნივთები სხვა და-სხვა დროს არის მოპარული და ნაყიდი ჩარჩების-მიერ. ნივთები ორი ათას თუმნისა არის თურმე.

⁂ კახეთის რკინის გზის გამოკვლევა, როგორც ამბობენ, სექტემბერში გათავდება.

⁂ გუშინ-წინ ამიერ-კავკასიის რკინის გზის ინჟენერი ბ-ნი პუშეჩნიკოვი, დისტანციის უფროსი პიურატი და მოძრაობის უფროსი ზოლოტნიცკი ხაშურიდგან ფეხით წავიდნენ ბორჯომში იმ ადგილების დასათვალიერებლად, საითკენაც აპირობენ რკინის გზის შტოს გაყვანას. წინადღეს ინჟინერებმა დაათვალიერეს ჭიათურის შტო, სადაც სულ ოთხი სადგური უნდა გამართონ.

⁂ ტფილისში კერძო დეპეშით ამბავი მოვიდა, რომ ს-პეტერბურგის ბეჭდვის საქმეთა მთავარ-სამმართველო...

---

# ფელეტონი

—

## გარდაცვლილი

(გიუ-დე-მოპასანისა)

მე ის გაგიჟებით მიყვარდა! ნეტა, რისთვის გვიყვარს ხოლმე? განა სისულელე არ არის ერთის ადამიანის მეტს ვერავისა ჰხედავდე ქვეყანაზედ, ერთის ფიქრის მეტი არა გქონდეს თავში, მხოლოდ ერთს სურვილს შეეპყრას შენი გული და ერთის სახელის მეტი არ გახსოვდეს, იმ სახელის მეტი, რომელიც ყოველ წუთს ამოდის მარგალიტის წყაროსავით გულის სიღრმიდგან და არხევს, ათრთოლებს ბაგეს. ამ სახელს იმეორებ ათსჯერ, ბუტბუტებ ყოველ ჟამს და ყოველგან, როგორც ლოცვას.

ჩვენის ამბით თავს არ მოგაწყენთ. სიყვარულის ამბავი ხომ ყოველთვის ერთი და იგივეა. შევხვდი მას და შემიყვარა. აი სულ მთელი ამბავი. ერთი წელიწადი გავატარე მის ალერსში და ხვევნაში, მის ცქერაში. თავი მის კალთაში მედვა ხოლმე და ისე ვლაპარაკობდით. მე ვეხვეოდი, ვკოცნიდი და ვეალერსებოდი მის კაბებს, ხელთათმანს, ფეხსაცმელს. იმდენად თავდავიწყებული ვიყავი მთელი ერთი წელიწადი, რომ დღელამისაგან ვერ გამერჩია. არ ვიცოდი, ისევ ის ვიყავი, რაც წინად, თუ სხვა სული და ხორცი შემსხმოდა; ჩვენს ძველს დედამიწაზედ დავდიოდი, თუ სხვაგან სადღაც გადავსახლებულიყავ...

ის მოკვდა. რა ნაირად? არ ვიცი. აღარა მახსოვს-რა. ერთ საღამოს წვიმით დასველებული შემოვიდა და მეორე დღეს ხველება დააწყებინა. ერთს კვირას ახველა და მერე ლოგინადაც ჩავარდა.

მერე რა მოხდა—აღარ ვიცი.

ექიმები მოდიოდნენ, რეცეპტებსა სწერდნენ და მიდიოდნენ. მოჰქონდათ წამლები. ერთი ქალი წამალს ასმევდა, მეორე უვლიდა, მესამე—ეჰ, ეს ხომ სულ ერთია.

ხელები ცხელი ჰქონდა, შუბლი სიცხისაგან ეწოდა და ოფლით გაწუწული იყო, თვალები უბრწყინავდნენ, ნაღვლიანად იცქირებოდნენ. მე ველაპარაკებოდი, ის პასუხს მაძლევდა. რას ვლაპარაკებოდით ერთმანეთს?—აღარა ვიცი-რა. ყველაფერი დამავიწყდა, ყველაფერი, ყველაფერი. მოკვდა. ძალიან კარგად მახსოვს მისი ნელი ამოხვნეშა, მისი სუსტი, უკანასკნელი სულის-თქმა. მოახლემ დაიკივლა და მე მივხვდი, მივხვდი ყველაფერს.

ერთი მღვდელი შემოვიდა და მითხრა: „თქვენი საყვარელიო“. მე ეს სიტყვები ვიწყინე. მკვდარზედ ამ სიტყვების წარმოთქმის ნება არა ჰქონდა. ის გავაგდე და მეორე მოვაყვანინე. ეს-კი ძლიერ კეთილი და მშვიდი იყო. მე ვტირე, როცა იმაზედ ლაპარაკი დამიწყო.

ბევრი რამ მირჩიეს დამარხვის შესახებ. აღარა მახსოვს-რა. მხოლოდ ძალიან კარგად მახსოვს კუბო და ჩაქუჩის ხმა. ახ! ღმერთო ჩემო! დამარხეს, დიაღ, დამარხეს! ის დამარხეს. რავდენიმე ნაცნობი მოვიდა, მეკი დავიმალე, გავიქეცი. დიდ-ხანს დავეხეტებოდი ქუჩა-ქუჩა, ბოლოს შევედი სახლში, მეორე დღეს სამგზავროდ გავსწიე.

გუშინ დავბრუნდი პარიჟში.

როცა ჩემს სახლში შევედი და დავინახე ჩვენი ოთახი, ჩვენი სახლის ავეჯი, მთლად ეს სახლი, რომელშიაც დარჩა ყველაფერი, რაც-კი შეიძლება სიკვდილის შემდეგ დარჩეს კაცს, მწუხარება გამიახლდა და ისე გამიმწვავდა, რომ მინდოდა გამეღო ფანჯარა და ქუჩაში გადავარდნილიყავ. აღარ შემეძლო დავრჩენილიყავი იმ ნივთების სიახლოვეს, იმ კედლებს შუა, სადაც ის სცხოვრებდა. ავიღე ქუდი და გაქცევა დავაპირე. ის ის იყო, კარებთან მივედი, უეცრად სარკე დავინახე. ეს სარკე, დიდი სარკე იმან მაყიდვინა, რომ ყოველთვის თავისი თავი მთლად დაენახა, როცა-კი გამოსვლას დააპირებდა, და დარწმუნებულიყო, რომ ტანისამოსი კარგად ადგა, შლიაპა უხდებოდა და ფეხსაცმელი კოხტად გამოიცქირება.

მე გავჩერდი პირდაპირ ამ სარკის წინ, რომელშიაც ისე ხშირად ჩანდა მისი სახე, ისე ხშირად, ისე ხშირად, რომ, საკვირველია, რატომ არ დარჩენილა აქ ეს სახე.

ვიდექი სარკის წინ მთრთოლვარე, თვალები მინაზედა მქონდა მიშტერებული. მეგონა, რომ ეს სარკე მიყვარდა. მე შევახე მას ხელი—ცივი იყო! ოხ, გულის მომწყვლელო, დამწველ-დამღაგველო სარკევ, რავდენ ნაირადა გვტანჯავ! რა ბედნიერნი არიან ისინი, ვისაც სარკის მსგავსი გული აქვთ: გამოჩნდება ვინმე თუ არა ამ სარკე—გულში, მაშინვე გაქრება; ავიწყდება ყოველივე, რაც შიგ სჩანდა, რამაც მის წინ გაიარა, რასაც ის უცქეროდა, ალტაცებითა და სიყვარულით თაყვანსა სცემდა.

რა რიგად ვიტანჯები!

გამოვედი სახლიდგან და, ჩემდა უნებურად, თითქმის ჩემდა გაუგებლად, გავსწიე სასაფლაოსკენ. მე ვნახე მისი უბრალო საფლავი. ზედ მარმარილოს ქვა იყო შემდეგის წარწერით: „აქ განისვენებს ადამიანი, რომელსაც უყვარდა და რომელიც უყვარდათ.“ პირქვე დამხობილი ვიყავი და ისე ვქვითინებდი. მე იქ დიდხანს დავრჩი, დიდხანს. ბოლოს შევამჩნიე, რომ ბნელდებოდა. ამ დროს რაღაც საოცარმა გიჟურმა სურვილმა, უიმედოდ შეყვარებულის სურვილმა გამიტაცა მე. მინდოდა მის გვერდით ღამე გამეთია, უკანასკნელი ღამე; მომინდა მის საფლავზედ ტირილი. მაგრამ მცველებისა მეფიქრებოდა: აქ რომ ღამე დავენახე, უეჭველად გამაგდებდნენ. მაშ რა უნდა მექმნა? ხერხი ვიხმარე. ავდექი და დავიწყე ხეტიალი ამ სოფლიდგან გამქვრალთა ქალაქში. ვიარე, დიდხანს ვიარე. რა პატარაა ეს ქალაქი იმ მეორე დიდ ქალაქის გვერდით, საცა ცოცხლები არიან. მაგრამ საკვირველი ეს არის, რომ რიცხვით ეს მკვდრები უფრო ბევრია, ვიდრე ცოცხლები. ჩვენდა საცხოვრებლად საჭიროა ვეებერთელა სახლები, ქუჩები და სულ ეს ამდენი ადგილი; სჭირია წყაროს წყალი, ვაზის წვენი, ყანის პური და მრავალი სხვა.

მათთვის-კი არაფერი არ არის სა-

ლოს ნება დაურთავს ქართულს ენაზედ ჟურნალის გამოცემისა. ჟურნალს სახელად ეწოდება „მოამბე“ და უმთავრესად ლიტერატურულს და სამეცნიერო წერილებს დაჰბეჭდავს. რედაქტორად ჟურნალისა დაუმტკიცებიათ ნაფიცი ვექილი ა. მ. ჭყონია, ხოლო გამომცემელად—ნ. ვ. ლოლობერიძე.

⁂ გუშინ შუშიდგან ტფილისისაკენ წამოსულა ყარაბაღის ეპარქიის უფროსი ეპისკოპოზი აივაზიანი, რომელიც ეჩმიაძინის სინოდის გამოგზავნილია პატრიარქ-კათალიკოზის მისაგებებლად.

⁂ ტფილისის სომეხთა ახალგაზდობა ამზადებს პატრიარქ-კათალიკოზის მისართმევად ოქროს ყავარჯენს, ძვირფასის თვლებით მოჭედილს.

⁂ არტისტი ქალი მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა ამ დღეებში ნოვოროსისკში გაემგზავრა. იქიდგან ოდესაში წავა მომავალ სეზონისთვის საოპერეტტო დასის შესადგენად. რამდენიმე მოსკოვის და პეტერბურგის თეატრის გამოჩენილი არტისტები დათანხმებულან ტფილისის თეატრში თამაშობაზედ და ხელ-წერილიც მიუციათ მ. მ. საფაროვ-აბაშიძისათვის.

⁂ ტფილისის საყასბოში 15—22 ივლისს დაკლულა: 662 ძროხა, 233 ხარი, 13 კამეჩი, სულ 928 სული საქონელი.

⁂ ამ ბოლოს დროს ტფილისში საღამოზით და ღამ-ღამე დიდი წვიმა მოდის და, მართალია, ქალაქს აგრილებს, მაგრამ ბევრს დიდს ზარალს აძლევს, მეტადრე ხევებთან და სარდაფებში მცხოვრებთ. ისეთი ნიაღვარი წამოვა ხოლმე, რომ არა თუ კაცს, ეტლსაც-კი უძნელდება გასვლა-გამოსვლა.

⁂ ქალაქის მეათე ნაწილის ბოქაულმა და ექიმმა თარხნიშვილმა ამას წინად დაათვალიერეს სასტუმროები, საბაყლოები და სხვა ადგილები, სადაც-კი ხორაგეულსა და ხილეულს ჰყიდიან. აღმოჩნდა, რომ ბევრი გაფუჭებული ხორაგეული და შემოუსვლელი ხილი იყიდება. სასეირნო ბაღის „სტრელნას“ პატრონი, რომელსაც გაფუჭებული ხორაგეული უპოვნეს მეორედ, პასუხის გებაშია მიცემული.

მეექვსე ნაწილის ბოქაულსაც ვორონცოვის ქუჩაზედ ათი ფუთი უვარგისი ხილი აღმოუჩენია.

⁂ ჩვენ მოგვივიდა ირკუტსკიდგან იქ შეკრებილი 26 მან., დანიშნულებისამებრ გარდასაცემად. შემომწირველთა სიას ქვემოთა ვბეჭდავთ.

⁂ ჩვენ მივიღეთ სურამის ბოქაულისაგან 91 მან. 32 კაპ. (ამას გარდა გამოგზავნაზედ დახარჯულა 54 კაპ.) დ. სურამში 11 მკათათვეს გამართულ წარმოდგენიდან შემოსული, ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის გამგე კომიტეტისათვის გარდასაცემად, ღარიბ სტუდენტების სასარგებლოდ. წარმოდგენის შემოსავალ-გასავლის ანგარიშს შემდეგ დავბეჭდავთ.

⁂ ჩვენ მივიღეთ ქ. ქუთაისში ბ-ნ გიორგი პეტრეს ძის ბერძენიშვილის-მიერ შეკრებილი 10 მან. 45 კაპ. შოთა რუსთველის ძეგლის ასაგებად. ამ ფულისა გვქონდა 60 მ. 30 კ. შესდგა 70 მან. 30 კ. შემომწირველთა სიას შემდეგ დავბეჭდავთ.

⁂ ჩვენ გვწერენ ქუთაისიდგან: აქაურ მცხოვრებს ივანე მამაჯანოვს გაუკეთებია ხელით საბრუნავი პურის სალეწი, ბზის სანიავებელი და ხორბლის საწმენდი მანქანა. ეს მანქანა, როგორც გამოცდამ დაგვანახა, არჩევს საათში 50 ბათმანს (25 ფუთს) დაწმენდილს ხორბალს.

ამ გვარი მანქანები უკვე მოგონილია, მაგრამ ი. მამაჯანოვის-მიერ გაკეთებული უფრო ადვილი სახმარია ჩვენში და უფრო სასარგებლოც.

ი. მამაჯანოვს სურს მომავალ წლისათვის დაამზადოს რავდენიმე მაშინა იმ განზრახვით, რომ დასდგას სხვა-და-სხვა სოფლებში, სადაც-კი საჭირო იქმნება.

რომელ სოფელშიაც დასდგამს მანქანას, თუ სოფელი არ შეისყიდის, პატრონი გადაახდევინებს მხმარებელთ ათის თავს, ე. ი. 10 ბათმანზედ 1 ბათმანს.

იგივე მამაჯანოვი ამბობს, თუ საზოგადოდ საჭირო იქმნებაო, გავაკეთებ აგრეთვე პურის გასარეცხს მანქანას—რომლის გეგმა უკვე შედგენილი მაქვსო.

⁂ ქ. მოსკოვში 19 ივლისს ხოლერით ავად ყოფილა 76 კაცი და ქალი. 19—20 ივლისს ავად გამხდარა 20, მორჩენილა 1, გარდაცვლილა 6 და დარჩა 89 ავადმყოფი.

⁂ კავკავშიაც ყოფილა საეჭვო, ხოლერის მინაგვარი ავადმყოფობა. ერთი ამისთანა ავადმყოფი სამხედრო საავადმყოფოში მიუყვანიათ.

⁂ სად. საჯავახო: 21 ამ ივლისს აქ სამწუხარო ამბავი მოხდა. ოზურგეთის მაზრის ფარცხმის საზოგადოების მცხოვრებმა გაბრიელ მეგრელიშვილმა დაიქირავა ეტლი და ჩაჯდა ოჯახობით. ამ დროს მივიდა საჩქაროდ სენაკის მაზრის ს. ბანძის მცხოვრებელი მიხელ გაბუნია, მივარდა ეტლს და ხსენებულს მეგრელიშვილს დაჰკრა ხანჯალი სამჯერ. ამ დროს დაჭრილმა, რომ ნახა, საქმე ცუდათ არისო და გაბუნია თხოვნით არ მეხსნებაო, ამოიღო რევოლვერი, ესროლა გაბუნიას და კისერში მოარტყა. ორივენი მძიმედ არიან დაჭრილნი, თუმცა, როგორც ექიმი ამბობს, გაბუნიას ჭრილობა უფრო ძნელია და მისი სიცოცხლე საეჭვოაო. საქმე გამომძიებელს გადაეცა.

⁂ ოჩამჩირე (ზუგდიდის მზრა): 18 ივლისს ოჩამჩირეში იყო გამართული წარმოდგენა სცენის მოყვარეთაგან-ოქუმელ ახლგაზდა ქალებისა და ყმაწვილ კაცების-მიერ. წარმოდგენილი იყო „სამშობლოს“ სამი მოქმედება და „უჩინმაჩინის ქუდი“. თავოსნობდა ამ საქმეში ოქუმელი ვაჭარი ი. გეგიძე. საზოგადოდ წარმოდგენამ მშვენივრად ჩაიარა. საზოგადოება ოჩამჩირეში კმაყოფილი დარჩა წარმოდგენითა. ესევე პიესები წარმოადგინეს ჯერ ოქუმში და მერე ოჩაჩირეში, მაგრამ ოჩამჩირეში წარმოდგენამ უფრო კარგად ჩაიარა, ვიდრე ოქუმში. ოქუმში შემოსავალი იყო 45 მანეთი; ოჩამჩირეში—ასამდე. ტანისამოსი და სხვა თეატრის მოწყობილობა თავის ხარჯით დაამზადეს წარმომდგენლებმა. წმინდა შემოსავალი საქველ-მოქმედო საქმისთვის არის გადადებული. წარმოდგენა იყო ორსავე ალაგას სკოლის შენობაში. როგორც მოხელენი, ეგრედვე ვაჭარნი კმაყოფილნი დარჩნენ და სცენის მოყვარულთ სთხოვეს, დარჩით და კიდევ სხვა რამე წარმოადგინეთო. მადლობის ღირსნი არიან ქ-ნნი ჩხენკელი და გეგიძე, რომლთა მშვენიერად თამაშობამ აღტაცებაში მოიყვანა აქაური საზოგადოება. სასურველია, რომ იმათ მაგალითს სხვებიც მიჰყვნენ. ესენივე აპირობენ წარმოდგენის გამართვას ზუგდიდსა და სოხუმში.

⁂ მანგლისიდგან სწერენ „Нов. Обозр.“-ს, რომ ამ ზაფხულს დიდი ხალხი მიაწყდა საცხოვრებლად—ტფილისიდგან, ბაქოდგან, განჯიდგან და ერევნიდგანაც-კი. ამის გამო ყველაფერი მეტად გაძვირებულა. ასი კვერცხი 2 მანათია, ფუთი კარტოფილი 1 მ.—1 მ. 20 კ., წიწილა 20—23 კაპ. არა ნაკლებ და ხან სულაც არ არის საშოვარი.

⁂ 25 ივლისს ელისაბედის ქუჩაზე ესტატე მუხრანსკის სადგურიდამ მუშა ბაბაოლიმ მოიპარა სხვა-და-სხვა ნივთეული, 50 მან. ღირებული, მაგრამ ქურდი იქვე შეიპყრეს.

⁂ 23 ივლისს სიონის ვიწრო ქუჩაში დაიქცა ერთი ოთახი ვასილ ნადიროვისა. შიგ მცხოვრებნი წინდაწინვე იყვნენ გამოყვანილი პოლიციის-მიერ და ამის გამო არა ვითარი უბედურება არ მომხდარა.

### მთავრობის განკარგულებანი

ქუთაისის გუბერნიის, ზუგდიდის მაზრის მესამე განყოფილების მომრიგებელ-შუამავალი კორნეტი თ. მხეიძე დათხოვნილ იქმნა ამ თანამდებობიდამ, ხოლო კავალერიაში ისევ ირიცხება.

მის ადგილს განწესებულ იქმნა ქუთაისის გუბერნიის, ზუგდიდის მაზრის მეორე განყოფილების მომრიგებელ-შუამავალი შტაბს-კაპიტანი თ. ჩიჩუა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ჯიქთ-უბანი** (ქუთაისის მაზრა). სოფელი ჯიქთ-უბანი სამტრედიიდან შვიდ-რვა ვერსტის მანძილზედ მდებარეობს და ერთობ კარგი სოფელი არის, როგორც ტოპოგრაფიულ მდებარეობით ისე ნოყიერ ნიადაგით და კარგის მოსავლით. აქ, როგორც თითქმის ყოველგან ქვემო-იმერეთში, სიმინდი ძლიერ ბლომად მოდის და შეადგენს მცხოვრებლების ერთად-ერთ ცხოვრების სალსარს. წელს-კი, აგერ თთვე ნახევარი მეტი იქნება, ჩვენს მხარეს წვიმის ცვარიც არ ჰღირსებია, რის გამოც საშინელი გოლვაა და ყანებიც ვერაფერ იმედს გვპირდება. სიმინდი ალაგ-ალაგ გაყვითლდა და დილის ათ საათიდან საღამოს შვიდ საათამდის, თითქო ცეცხლში გაუტრუსავთო, ისე არის ფოთლებ დაშეებული. თქვენი მტერი, თუ ამ თთვის დამლევამდის ვერ ვეღირსეთ წვიმას, ჩვენ შიმშილს თავიდან ველარ ავიშორებთ! მართალია, აქ გოლვები პირველი შემთხვევა არ არის და არც უკანასკნელი იქნება, მაგრამ ასეთი საზღვარს გადასული სიცხეები და ხმელი ამინ-

---

ქირო. მხოლოდ თავის ზომა მიწა და ისიც დროებით, ვიდრე თვითაც დამიწდებოდეს, მტვრად იქცეოდეს. მათი ხსოვნა ხომ სამარის კართანა სწყდება. მიაბარეს თუ არა ძვირფასი გვამი მიწას, მშვიდობით!

ამ სასაფლაოს ბოლოზე მე უეცრად დავინახე ძველი, უპატრონო სასაფლაო, სადაც ჯვრებიც-კი მიცვალებულთა კვალს დასდგომიან. დღეს თუ ხვალ ისინიც მტვრად იქცევიან... აგერ ამ ადგილს კიდევ საუკეთესო ბაღია, სავსეა აქა-იქ გაფანტულის ვარდებით, მაღალის და შავის კვიპაროსებით. მშვენიერია, მაგრამ სევდის მომგვრელია ეს ბაღი, რომელიც კაცის ხორცით იკვებება. სულ მარტო ვიყავი. დავიმალე ერთს ამწვანებულს ხის ძირში. სულ მთლად მფარავდა მისი სხვილი, ხშირის ფოთლებით დატვირთული ტოტები.

ვიდექი სულ-განაბული, ხეზედ მიხუტებული, როგორც წყალში ჩავარდნილი კაცი ეკიდება გემის ნამტვრევს.

როცა ბნელი კარგად ჩამოწვა, დავტოვე ჩემი თავშესაფარი ადგილი და დავიწყე ნელ-ნელა სიარული. ჩემი ფეხის ხმა ყრუთ გაისმა ამ მკვდრებით სავსე მიწაზედ. დიდ ხანს ვიხეტიალე, დიდხანს. ის მაინც ვერ ვიპოვე. ხელებ გაშვერილი, თვალებ დაჰყეტილი ვეტაკებოდი ხოლმე ხან ერთს საფლავს, ხან მეორეს, ხან ხელს წავკრავდი საფლავის ძეგლებს, ხან ფეხს, ხან მუხლებს, ხან გულით წავაწვებოდი და ხან თავით. დავხეტიალობდი ტყუილად. ის ვერ ვიპოვე. ხელებით ვეძებდი, დავფართხატობდი, როგორც ბრმა, როცა გზას იკვლევს ხოლმე. ვეპოტინებოდი ქვებს, ჯვრებს, რკინის ხარიხებს, ჰიქის და ყვავილების დამჭკნარ გვირგვინებს. ხელს ვუსვამდი ქვებზედ წარწერილს ასოებს და ამნაირად ვკითხულობდი სახელებს.

რა საშინელი ღამეა, რა წყვდიადი! მე ის მაინც ვერ ვიპოვე. უმთვარო ბნელი ღამეა! საშინლათ შემეშინდა ამ ვიწრო ხეივნებში, ორ წყობა საფლავებს შუა. საფლავები, საფლავები და სულ ისევ ის საფლავები! მარჯვნივ, მარცხნივ, ჩემს წინ, ჩემს გარეშემო, სულ ყოველგან საფლავი.

მე დავჯექ ერთ საფლავზე, მისთვის რომ სიარული აღარ შემეძლო, მუხლები მეკეცებოდა. მეყურებოდა ჩემი გულის ცემა და სხვა კიდევ რაღაც გამოურკვეველი, ყრუ ხმაურობა. საიდგან ისმოდა ეს ხმაურობა? თვით ჩემის გახურებულის თავიდგან, თუ ამ ღამის წყვდიადიდგან? ან და, იქნება, თვით ამ საიდუმლოებით მოცულს, კაცის მძოვრით მოთესილ მიწიდგან ისმოდა ეს ხმაურობა? მე ვიყურებოდი ჩემს გარეშემო.

არ ვიცი, რამდენი ხანი დავრჩი აქა, შიშით გაშტერებული, მთვრალს მივაგავდი. მზად ვიყავ დამეყვირა, თუმცა ვნატრობდი კიდეც სიკვდილს. სიკვდილისა სრულიად არ მეფიქრებოდა.

უეცრად მეჩვენა, ვითომ ის საფლავის ქვა, რომელზედაც ვიჯექი, ინძრეოდა. მართლა ინძრეოდა, თითქოს ვიღაცა სწევდა ქვევიდგან. იმ წამსვე მეორე მახლობელ ქვაზე გადავხტი. და დავინახე, დიაღ, დავინახე, რომ ის ქვა, რომელიც მივატოვე აიმართა. გამოჩნდა მკვდარი. ჩონჩხი მოხრილის ზურგით ქვას აწვებოდა და სცდილობდა, საფლავიდგან გადაეგორებინა. მე ამას ძალიან კარგად ვხედავდი, თუმცა ბნელოდა. ქვაზედ შემდეგი წარწერა გავარჩიე: „აქ განისვენებს იაკობ ოლივანი. გადიცვალა დაბადებიდგან 51 წლისა. ამას უყვარდა თავისიანები, იყო კეთილი და პატიოსანი და განისვენა სასუფეველსა უფლისასა.“ ეხლა თვით მკვდარიც კითხულობდა საფლავის ქვაზედ წარწერილ სიტყვებს, მერე აიღო ერთი პატარა, წვეტიანი ქვა და სიტყვებს ძალზედ ფხეკა დაუწყო. ნელ-ნელა სულ წაშალა.

ბოლოს ერთის ძვლით, რომელიც მისი სალოკი თითი უნდა ყოფილიყო, ხელახლა დააწესა ქვას ბრჭყვრიალა, მანათობელის ასოებით, იმ გვარად, როგორც კედლებზედ აწერენ ხოლმე წუმწუმით: „აქ განისვენებს იაკობ ოლივანი, გარდაიცვალა დაბადებიდგან 51 წლისა. მან მოუსწაფა სიცოხლე თავის მამას, რომლის მემკვიდრეობაც სურდა. ამან დასტანჯა თავისი ცოლი, დასტანჯა თავისი შვილები, მოატყუა თავისი მეზობლები, იპარავდა, როცა-კი მოახერხებდა, და მოკვდა მოუნანიებელი, ტანჯვად სამარადისოდ“.

როცა წერა გაათავა მწარედ დააშტერდა კიდევ თავის ნაწერს.

ველარ შევძელ ცქერა, თავლი მოვარიდე და დავინახე, რომ ყველა საფლავები გახსნილიყვნენ და მკვდარნი ამოსულიყვნენ, ყველა მათგანს წაეშალა საფლავის ქვებზედ ნათესავებთაგან წარწერილი ტყუილი სიტყვები, სიმართლის აღსადგენად.

დავინახე, რომ ყველა თავისიანების ჯალათი ყოფილა, ბოროტი, უპატიოსნო, პირფერი, ცრუ, ცუდლუტი, ცილის მწამებელი, ხარბი და გაუმაძღარი; რომ მათ უპარავთ, უტყუებიათ. ამ „კეთილ მამებს“, „კეთილ მეუღლეებს“, „მორჩილ შვილებს“, „პატიოსან ვაჟრებს“, „შეუგინებელ სახელის კაცებსა და ქალებს“, ყოველნაირი საძაგლობა და სამარცხვინო საქმე ჩაუდენიათ. ისინი სწერდნენ თავის საუკუნო საცხოვრებელის კარებზედ საშინელს, მკაცრსა და ნამდვილ სიმართლეს, იმ სიმართლეს, რომელიც აქ, დედამიწაზედ, ალაგს ვერა ჰპოულობს, კაცთაგან განდევნილია.

ვიფიქრე, სწორედ ისიც წაშლიდა საფლავის ქვის წარწერას და იმიტომ თუ ვეღარ ვიპოვე-მეთქი. ეხლა-კი უშიშრად გავირბინე მძოვრით და ჩონჩხით გავსებულს თავახდილს კუბოებს შუა და გავექანე მისკენ, დარწმუნებული, რომ ეხლა გზა აღარ ამერეოდა. მე ის შორიდგანვე ვიცანი, თუმცა მისი სუდარაში გახვეული სახე არც-კი დამინახავს. მარმარილოს ქვაზედ, საცა ერთის საათის წინ წავიკითხე: „აქ განისვენებს ადამიანი, რომელსაც უყვარდა და რომელიც უყვარდათ“, ეს აღარ ეწერა. მის მაგიერ შემდეგი დავინახე: „ერთ წვიმიან საღამოს გავიდა სახლიდგან თავის საყვარლის მოსატყუებლად, გაცივდა და მოკვდა“. მეორე დილას მე გულ-წასული მიპოვეს თურმე სასაფლაოზედ.

კ—ტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი ძლიერ იშვიათად ახსოვთ ჩვენს მოხუცებულებს. ასე წარმოიდგინეთ, ხშირად ჩვენში 30 გრადუსია ჩრდილში სიცხე.

თურმე აქ ჩვეულებად ჰქონიათ ამისთანა გოლვიან ამინდებში გაბანებენ წმ. ილია წინასწარმეტყველის ხატს და, ხალხის გადმოცემით, ეს „ნაბანი წყალი“ ჩაერთვის თუ არა ზღვას, აუცილებლად წვიმა უნდა მოვიდეს. თუმცა ხალხს ხშირად გასცრუვებია ეს იმედიც, მაგრამ ამ უკანასკნელ არა სასურველ გარემოებას ჩვენი მოხუცები ყოველთვის აწერენ ხალხის ვულის აყრას „ჩვეულებისადმი“.

აი კიდევ ერთი ცრუ მორწმუნეობა: საზოგადოებას გადაუწყვეტია ერთი სამუშაო დღე კვირაში შესწიროს ღმერთს, რათა მან დაიფაროს ხალხი გვალვისაგან. ეს დღე პარასკევი გახლავთ. ეს აზრი ყველა სოფლის კაცს ძვალ-რბილში გასჯდომია და მტკიცედ ასრულებს ამ აღთქმას. აქაური მუშა-კაცი, თუ საჭიროა, კვირა უქმე-დღეს-კი იმუშავებს და პარასკევს არა. ეს ცრუ-მორწმუნეობა, რასაკვირველია, ხელს უშლის ხალხის კეთილ-დღეობას და მის ეკონომიურ წარმატებას? გლეხს ექვსი დღე მისცა ღმერთმა სამუშაოდ; ამას გარდა შიგა-და-შიგ სხვა უქმე-დღეც ბევრი გამოერევა ხოლმე და ამას რომ პარასკევიც დაუმატოთ, მუშა-კაცს დრო აღარც-კი ექმნება სამუშაოდ. როდის-ღა უნდა იშრომოს და მოიპოვოს ცოლ-შვილს პური არსებისა?

* * *

## წერილი მაჭახლიდგან

მაჭახელი, (ბათუმის ოლქი) 19 ივლისს. ბათუმიდამ მაჭახლის უკანასკნელ სოფელს ევფრატამდე სამოც-და-ათი ვერსი ითვლება—ოც-და-ათი ვერსი ცხენით სავალი და დანარჩენი ფეხით. რადგანაც გზა ძრიელ ვიწრო კლდიანს ალაგას გადადის, ამიტომ ერთ კაცსაც უჭირს გავლა. ასეთი ვიწრო გზებია, საშინელი ადგილები, საშიშარი ტყეები და გადასავარდნ-დასაღუპი ხევები. აქეთ გზები არც ოსმალოს დროს ყოფილა გაკეთებული და, მგონი, რომ არც ეხლა გააკეთდეს, რადგანაც მაჭახლის მდგომარეობა ისეთნაირად იფარგლ-ისაზღვრება, რომ კაცი იქ თუ განგებ არ წავიდა, უიმისოდ აქ არავინ მოხვდება. თუმცა მოკლე გზა გადადის შავშეთზე, მაგრამ ვიწრო გზისა და შიშიანობის გამო აქეთ არავინ დაიარება.

მაჭახელს აღმოსავლეთით უძევს აჭარა, დასავლეთით—ლივანა, სამხრეთით—არტანუჯი და დიდებული კარჩხალის მთები და ჩრდილოეთით—ქანეთი. მაჭახლის შუა ჩამოდის ერთი მშვენიერი დიდი მდინარე, რომელსაც მაჭახლის წყალი ეწოდება. ეს წყალი გამოდის არსიანის მთების დასავლეთ კალთებიდგან და აქედან ჩამოუვლის კარჩხალს, მერე მიემართება მთელს მაჭახელს და ბოლოს ერთვის ჭოროხს, მარადიდის მახლობლად, სოფ. აგარის მთის ძირს, რომელ მთაზე დღევანდლამდე სდგას ს. აგარის მთის კისერა ციხე.

აქაური ხალხი ძველადგანვე თოფიარაღის კეთებას მისდევდა. მაჭახლის თოფი და დამბაჩა შედარებულ-შეწონებული იყო სტამბოლის თოფსა და დამბაჩებთან. აქეთ თოფის წამლის გაკეთებაც იცოდნენ. ამაებს გარდა აქეთ ძველად პირუტყვის მოშენებასაც მისდევდნენ, ნამეტურ ძროხისა და ცხვრისას. ამას გარდა, აკეთებდნენ ყველს, ერბოს და კარაქს. ამათი ყველის კვერეული 3—5 გირვანქამდე კეთდება. ეს არა დროს არ დალპება, არც დაობდება; თუ ძალიან გახმა, ერბოში მოსწვამენ და საჭმელად ფრიად გემრიელი და შემრგოა. აქეთ ძველად სთესდნენ სიმინდს, პურს, ბრინჯს, ფეტვს და მისდევდნენ მევენახეობას. მაგრამ ყველა ესენი დავარდა მას შემდეგ, რაც სამცხე-საათაბაგო ოსმალმა დაიჭირა და ქართველობაში მაჰმადის სარწმუნოება შემოიტანა. ამის მეოხებით დღეს აქ ყველაფერი დაცემულა და ამოვარდნილა. ვაზი ძირიანად ამოუგდიათ, პირუტყვის მოშენებაც შემცირებულა, დარჩენილა მხოლოდ სიმინდის მოყვანა.

აქაური ტყეები სავსეა ვაზით, კაკლისა, ბზის, მსხლისა და ნამეტურ თუთის ხეებით. თუთის მარცვალი ჩვენებურ თუთის მარცვალზე ოთხჯერ დიდია. აქ ამით თაფლსაც აკეთებენ. ამას ქართველ მაჰადიანები „ბულის ბადაგს“ უწოდებენ. კაკლის ტყესა და ხეებს ნახავს კაცი ნამეტურ იქ, სადაც-კი ძველად ქართველთ ეკკლესიები და მონასტრები ყოფილა. დღეს ეს მონასტერ-ეკკლესიები მთლად დაქცეულ-დანგრეულებია და არსად აღარაფერი სჩანს, გარდა დაქცეულის კედლების და ნანგრევებისა. ხიდები და ციხეები-კი ბევრს ალაგას დარჩენილა. ზოგიერთი საშიშარი ციხეები-კი ოსმალოთ დაუქცევიათ. მაჭახლის წყალზე ერთ ალაგას არის ძველი ხიდი, სიგძით 9 საჟენი და სიგანით ორი, ამ ხიდს ქართველ მაჰმადიანები თამარ მეფის ხიდს უწოდებენ. აქ, ამ მიყრუებულს მხარეში თქვენ ვერ ნახავთ ვერც ერთ მოხუცს თუ ახალგაზდა კაცს თუ ქალს, რომ ამათ თამარ მეფის სახელი არ იცოდნენ.

ესენი ხშირად ლაპარაკობენ თამარ მეფეზე და ამბობენ, რომ ეს დიდი ფადიშაჰი ჩვენს კარჩხალის მთაზე სცხოვრობდა და აქედგან მბძანებლობდაო. ამათი ზოგიერთი მოლები და ხოჯები ვნახე, თამარ მეფეზე ლაპარაკი ჩამოაგდეს და სთქვეს, რომ თამარ მეფე მაჰმადის სჯულისა გახდა და აქაც მიტომ შემოვიდა ეს სჯულიო. მე ვუთხარ, ეგ ტყუილია. მათ ეწყინათ და ფანატიკურის მღელვარებით წარმოსთქვეს:

— ჩვენს ქითაბში ეგრე სწერია, ჩვენი ძველებიც ეგრე იტყოდნენო.

მაჭახლის დასასრულს, კარჩხალის ახლოს, სძევს სოფ. ევფრატი, სადაც აქა-იქ მთებზე ბევრი ძველი ნაშენებია დაშთენილი, ეკკლესიის ნანგრევები, ციხეები, კოშკები, სხვა და-სხვა შენობები და ჰაუზები. ყველა ამაებს მაჰმადიანები თამარ-მეფის ნაკეთებს ამბობენ. ძველად აქ ქალაქი იყოვო.

ოსმალთა დროს მაჭახელი შეადგენდა ერთ სამუდერისოს, რომელსაც საერისთაოზე მეტი უფლება ჰქონდა მინიჭებული. აქ იჯდა მაშინ ოსმალის მუდერისი. ამას გარდა აქა-იქ სცხოვრებდნენ გამაჰმადიანებული ქართველი ბეგებიც, მაგალითად: გვირილოღლები, ქავთაროღლები, ზაქარიაძეები და სხვანი, რომელთაც ხალხის საქმეების გამგეობის დროს ერთმანერთში ხშირად ბრძოლა და ვაივაგლახი ჰქონდათ.

ოსმალოს დროს, მაჰმადიანთ სასულიერო წოდებას მაჭახელზე ერთობ დიდი ყურადღება ჰქონდა თურმე მიპყრობილი, რადგანაც ესენი დიდხანს ეწინააღმდეგებოდნენ მაჰმადის სჯულის შემოღებას. აქ ერთ ალაგას სცხოვრობენ ძნელაძეები და ამათ სოფელსაც ძნელეთი ჰქვიან. ძნელაძეები დიდი წინააღმდეგნი ყოფილან გათათრებისა, ამის გამო დაუკარგავთ თავიანთი შეძლება და ბოლოს დაღარიბებულან, რის გამო მათი შთამომავალნი ძლიერ ემდურებიან და საყვედურით იხსენიებენ მამა-პაპას, რომ ქრისტიანობის გულისთვის იმოდენა მამულები დაკარგეს და ჩვენ ამ ყოფაში ჩაგვყარესო.

ოსმალოს სასულიერო წოდებამ თავის ოსტატურის მოქმედებით მაჭახლის ერში სასტიკის წესებით გაავრცელა ფანატიკოსობა. მოსპეს ყველაფერი: ქართული წიგნები, ეკკლესიები, მონასტრები და თვით სიტყვა „ქართველი“ და ქართველობა სრულიად შეაძულეს. არტანუჯს, არტაანს და ერუშეთის ქართველ მაჰმადიანებთ შემდეგ პირველ ფანატიკოსებათ მაჭახლელები ირიცხებოდნენ და ირიცხებიან დღესაც.

ოსმალოს დროს ამათი რიცხვი აქ 30,000 სულამდე იყო, მაგრამ უკანასკნელს ომში გაწყდა რამდენიმე. ესენი თავიანთის ნებით მირბოდნენ საბრძოლველად. ომის შემდეგ ამათი რიცხვი 25,000-მდე იყო. რუსეთთან შემოერთების შემდეგ ესენი აჯანყდნენ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ, ამათ მხარეში ოსმალოს მთავრობის მაგიერ რუსის მთავრობა დაარსდა. აქ განაგებდა „უჩასტკის“ უფროსი. ეს საკმარისად კარგადაც ეპყრობოდა ხალხს, მაგრამ ფანატიკ მოლების მეოხებით საქმე ისე მოიმართა, რომ მაჭახლელებმა 1880 წ. იწყეს გადასახლება ოსმალეთში, ანუ, როგორც ისენი ამბობენ „მუჰაჯირათ წასვლა“ და 2 წლის განმავლობაში საქართველოდამ ოსმალეთში გადასახლდა ჩვიდმეტი ათასი სული. მთელი მაჭახელი დაცალიერდა, მთავრობამ აქ უფროსის სამმართველო გააუქმა და მაჭახელი ზედა-აჭარას შეუერთა. დღეს მაჭახელში მხოლოდ 700 კომლი-ღა ითვლება.

ამოდენა მხრის მშვენიერ სოფლების სახლები სულ ვერანად გადაქცეულა. მარჯვნივ და მარცხნივ, მაღალი ნაძვის ტყეები სავსეა ოროლ სართულიანის სახლებით, რომელნიც საბრალოდ გაოხრებულია და აქა-იქ მინგრეულ-მიქცეული. კაცის გულს ცეცხლი მოედება, როცა-კი დაინახავს ამოდენა მხარეში ასე გაოხრებულ და ვერანად ქცეულს ქართველთ ძველს სოფლებს და მასში ძველად აგებულს მშვენიერს სახლებს. ამ მშვენიერ ხეობის მზერით კაცის თვალი ვერ გაძღება. ნამეტურ კარჩხალის წინ მდებარე ნაძვიანის ადგილებით და ხერთვისის ახლო-მახლო.

მთელი მაჭახელი გავიარე. 16 ივლისს ხერთვისის ჯამეზე დავესწარი, ქართველ მაჰმადიანების ჯუმა დღე იყო, ე. ი. პარასკევი, და აქ ერთობ დიდი ხალხი იყო მოსული, რადგანაც იქვე ასაფლავებდნენ ერთ ქართველ მაჰმადიანს. მიცვალებულის დასაფლავებაზე ამათ არც ტირილი სცოდნიათ და არც ქელეხი. დასაფლავების შემდეგ შუადღის ლოცვა დაიწყეს. ლოცვის შემდეგ მე ძლიერ ბევრნი გავიცანი, რადგანაც აქაურს ერთ ბეგთან ქავის ოღლისთან აჭარის ბეგ სულეიმან ბეჟანიძემ წერილი გამატანა. გარდა ამისა მე საკმარისი დახმარება აღმომიჩინა მაჭახელში მგზავრობის დროს მაჭახლის მკვიდრ მცხოვრებმა ახმედ-აღა მისილ-ოღლიმ (კახიძე). ხალხი გაოცებით მიმზერდა. ფეს-დახურული ქართველი მაჰმედიანი და პატარა ბავშვები კიდევ უკან დამდევდნენ და საშინელის გაკვირვებით მიცქეროდნენო და ერთმანერთს რაღასაც უჩურჩულებდნენ. ეს არც არის ამათგან გასაკვირველი, რადგანაც მთელს დასავლეთ საქართველოს ნაწილში ყველაზე ველურს ტყის ნადირ ხალხად დღეს მაჭახლელები ირიცხებიან და ყველაზე მიგდებულს და ყრუ მიუვალ ადგილად მაჭახელს სთვლიან.

ზ. ჭ.

(შემდეგი იქნება)

* * *

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

პეტერბურგის ცნობილი ფელეტონისტი „Буква“ (Василевскій) დიდს ყურადღებას აქცევს ხოლმე ჩვენ საქმეებს. გაზეთ „Новости“-ს უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია მისი ფელეტონი, რომელშიაც, სხვათა შორის, სწერს ქ. ფოთის სამოქალაქო საქმეებზედ და აგრეთვე ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის საქმეებზედაც.

არის ქვეყანაზედ ისეთი ქალაქებიც, სწერს ბ-ნი ვასილევსკი, რომელნიც არითმეტიკას სრულიად ყურადღებას არ აქცევენ: ხარჯავენ იმ ფულს, რომელიც არ მოეპოვებათ, და ეს გარემოება სრულიად არ აწუხებთ. ქალაქ ფოთის ფინანსების საქმე ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა. ფოთის საბჭო, დიდი ხანია, ნისიად სცხოვრობს, დღე ყოველ ფულსა სესხულობს და ვალს-კი არავის უხდის. ქ. ფოთის შემოსავალი ძლივსა ჰყოფნის ქალაქის პოლიციასა და ქალაქის გამგეობას.

ქ. ფოთს წელიწადში აქვს სულ 28,393 მანათი შემოსავალი, ჰგონია ფოთის საბჭოს სარევიზიო კომისია; ეს ფული ვერა ჰფარავს ჩვეულებრივს ხარჯს. მაგალითად, პოლიციასა და ქალაქის გამგეობაზედ იხარჯება 25,865 მან. 86 კაპ., მოხელეთა წასვლა-მოსვლაზედ იხარჯება 2,100 მან., კომისიის წასვლა-მოსვლაზედ — 267 მან. 43 კაპ. საჩივრებზედ ქალაქს ეხარჯება 980 მან. 99 კაპ., სულ 30,210 მან. 66 კაპ. აშკარაა, რომ ქალაქის შემოსავალი ამ ხარჯსაც ვერა ჰფარავს. გარდა ამისა ქალაქს აწევს 100,000 მანათი ვალი და მრავალი სხვა ხარჯი: სასწავლებლებზედ, ქუჩების შეკეთებაზედ და სხვ. ამ ხარჯისთვის ქალაქი ფულსა სესხულობს, საცა-კი შესძლებს და მოასერხებს.

ამ გვარადაო, სწერს ბ-ნი ვასილევსკი, ქალაქისთვის საჭირო ფულს სესხულობენ, „საცა-კი შესძლებენ“. ასე სწერს, თითქო ოხუნჯობით ქ. ფოთის სარევიზიო კომისია. მთელი ქალაქი, მაშასადამე, ყოველ წელიწადს ნისიად სცხოვრობს და ქალაქის გამგეობისა და საბჭოს მოხელენი მოგზაურობენ და ფულსა სესხულობენ. სწორედ ამით აიხსნება, რომ ქ. ფოთის მოხელეთა წასვლა-მოსვლაზე ეხარჯება მთელის შემოსავლის მეათედი, ე. ი. $2^1/_2$ ათასი მანათი. ამ ფულით ადამიანი მთელ დედამიწის ზურგს ორჯელ შემოივლის. აშკარაა, ფოთის გამგეობის მოხელენი დილით საღამომდე მოგზაურობენ, მარტო ფოთში-კი არა, არამედ მთელ კავკასიაში, და ფულს დაეძებენ სასესხებლად.

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის შესახებ ბ-ნი ვასილევსკი სწერს:

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკში ამ ჟამად დიდი მზადებაა: რეცხავენ, ჯანდრაკვენ და ათეთრებენ მას შემდეგ, რაც მასში ამ ბანკის მმართველობის თავმჯდომარეს, კერძო ვექილსა *) და კოლონტერ-ფინანსისტს თავზედ კაკალი დაამტვრიეს. უეჭველია გახსოვებათ, რომ ამ ბანკის დამფუძნებელ წევრთა საზოგადო კრება დაშლილ იქმნა ადგილობრივ ადმინისტრაციის მიერ, უწესოების გულისთვის. კრება გაიმართა ქუთაისის ბანკის დარბაზში. მაყურებელნი შეკრბნენ ბანკის პაქსის საყურებლად. მსესხებელნი ისხდნენ სკამებზედ და ლოჟებში. მწყემსებმა, მოჯამაგირეებმა და მედუქნეებმა, რომლებიც ბ-ნ ჩიქვაიძის საპარლამენტო დასს შეადგენენ, დაიკავეს მთელი ქანდარა, ბუფეტი, კიბეები, დერეფანი და კლოზეტები. ბანკის მმართველობა და ზედამხედველი კომიტეტი იმყოფებოდა სცენაზედ, რომელსაც ამშვენებდა მშვენიერ ბაღის დეკორაცია. კერძო ვექილმა იკისრა როლი „ხალხის საყვარელ შვილისა“ და უშიშარის რაინდისა. ცხლიერ გულში იცემდა მუშტსა ისეთის გრძნობით გამსჭვალული სიტყვა წარმოსთქვა, როგორიც არც ერთის მომრიგებელ მოსამართლეს კამერას არა სმენია. დამიდგით ყური და დაგიმტკიცებთ, როგორი სახელი მაქვს მოხვეჭილი „სამეგრელოს შუაგულში“, ყაზბეგის წვერზედ და ცეცხლის მფრქვეველ ვეზუვის უფსკრულშიო. საპარლამენტო დასიც, თვალების ბრიალითა და ხანჯლების ტრიალით ყველა მხრიდგან ჰყვიროდა: „ვენცო! ვენცო!“. ე. ი. მოდი, ეს ჩვენი გრძნობით სავსე ორატორი ხელმეორედ ავირჩიოთ ქუთაისის ბანკის მოთავედაო. მაგრამ საქმეში ჩაერია ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი, პოლიცმეისტერი და თვით პოლიცია; სეირი გათავდა და თეატრის დარბაზი დაცალიერდა. საზოგადო კრება დაიშალა და არჩევანები გადაიდვა. ბალალაიკინი-კი თავის ლაკეებით მთაში გაიხიზნა.

ეხლა ტფილისის გაზეთები იუწყებიან, რომ ბ-ნი ჩიქვაიძე ისევ ჩამოსულა მთიდამ და დაბრუნებულა ბანკის მმართველობაში. დამარცხებამ ვერ გატეხა გული ამ სამაგალითო ბუნების შვილსა. ბალალაიკინი კვლავ ამზადებს სამომდგომოდ თავის საარჩევნო დასს. ეტყობა, არას გზით არა სურს გამოეთხოვოს ბანკის თავმჯდომარის სახელსა და ჯამაგირს, და თავის ადგილს, ცოცხალი თუ მკვდარი, არავის დაუთმობს.

სულითა და გულით ვსწუხვართ, რომ ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის საქმე ისე აირ-დაირია და უბად-ასაღებად გახდა ისეთ მწერლებისათვის, რომელთა ნაწერს

*) ბ-ნი ვასილევსკი სცდება: ბ-ნი ჩიქვაიძე კერძო ვექილი-კი არ არის, ნაფიცი ვექილია.

კითხულობს და ყურადღებას აქცევს მთელი რუსეთი.

---

### წერილები რედაქციის მიმართ

I

უმორჩილესად გთხოვთ, ნება მიბოძოთ თქვენის გაზეთ „ივერიის“ საშუალებით მადლობა შევსწირო იმ პირთ, რომელთაც არ დაიშურეს და შემოსწირეს ფული ქუთაისის წმ. გიორგის ეკლესიასთან დაარსებულ სამრევლო სკოლის სახლის აღსაშენებლად; აგრეთვე უმორჩილესად გთხოვთ დაბეჭდოთ ამასთანავე წარმოგზავნილი სია შემომწირველთა: ივანე ს. ზაინდუროვმა 2 მ., კოსტ. ქავარიანმა 2 მ., კლიმენტი ჰ. ქუთათელაძემ 1 მ., დიმიტრი დ. კუპრაძემ 20 კ., სამსონ კლდიაშვილმა 1 მ., მღ. გ. დოლაბერიძემ 1 მ., გრიგოლ ჩიჩაძემ 1 მ., გერასიმე ჩირაძემ 1 მ., ილარ. ჩირაძემ 20 კ., ელისაბედ ზრეგაძისამ 20 კ., ლავ. ჩიქოვანმა 50 კ., გლახუა ჩირაძემ 5 მ., გიორგი ნებიერიძემ 1 მ., ლ. გვენეთიანმა 10 კ., ბესარიონ მჟავანაძემ 1 მ., დიანოს შალამბერიძემ 1 მ., ნ. გოგავამ 20 კ. ამ ფულისა გვქონდა შეგროვილი და შეტანილი კასაში 295 მანეთი (იხ. „ივერია“ № 133 ამა 1893 წლისა): ახლა გვაქვს კასაში 313 მ. 40 კ. იმედია, კიდევ აღმოჩნდებიან კეთილნი და ცოტაოდენ შეწირულებას არ დაშურებენ ამ კეთილ საქმისათვის.

ქუთაისის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი ნესტორ ყუბანეიშვილი.

ქ. ქუთაისი.
1893 სა წელსა 24 ივლისს.

II

ნება გვიბოძეთ გაზეთის შემწეობით უგულთადესი მადლობა გამოვუცხადოთ, როგორც მე, ისე რწმუნებულმა ჩემდა ორაგვის მაცხოვრის ეკლესიის მრევლმა. მცხოვრებს ტფილისში აზნაურს ევთიმე ივანეს ძეს ხელაძეს, რომელმაც შემოსწირა ხსენებულ ეკლესიას შემდეგი საეკკლესიო წიგნები წმ. სახარება, სადღესასწაულო 8 მან., ზადიკი 6 მან. 55 კ., სამოციქულო 6 მან. დიდი კურთხევანი 10 მან., პატარა კურთხევანი 2 მან., ჟამნი 3 მან., კონდაკი 2 მან. 70 კ. ლოცვანი, დიდი 2 მან. 50 კ. დავითნი 1 მან., პატარა ზადიკი 50 კ. საკვედრებელი გალობანი 80 კ., პატარა ლოცვანი 1 მან. 20 კ. სულ 100 მან. 30 კ.

მღვდელი სიმონ კვაჰაძე

1893 წელსა
ივლისის 23 დღესა.
სოფ. ორაგვი (ოზურგეთის მაზრა).

---

# დეპეშა

24 ივლისი

**პეტერბურგი.** Нов. Время-ს შეტყვია, რომ ხელახლად აღიძრა მოლაპარაკება ოსმალეთთან სავაჭრო ხელ-შეკრულობის შესახებ.

იგივე გაზეთი იუწყება ნამდვილ საბუთებზე დამყარებულს ამბავს, რომ გერმანიის მთავრობას წინადადება მიუცია რუსეთისათვის სავაჭრო ხელშეკრულობის შესახებ 1 ოქტომბრიდგან (ახალი სტილი) განვაგრძოთ მოლაპარაკებაო. რუსეთის მთავრობას პასუხად თანხმობა გამოუცხადებია და თავის მხრივ, ხელშეკრულობის დასამთავრებლად, დელეგატებად ნიშნავს: სავაჭრო დეპარტამენტის ვიცე-დირექტორი ტიმირიაზევი, საბაჟო დეპარტამენტის ვიცე-დირექტორი ზუბვინი და ჩვენს აგენტი პარიჟში რაფალოვიჩიო; რუსეთის მთავრობას ისიც დაუმატებია, რომ მზადა ვართ ეს მოლაპარაკება 1 ოქტომბერზე ადრეც დავიწყოთ ჩ ურთიერთისადმი დათმობით ვიხელ-მძღვანელოთო. უკეთუ გერმანია ამას არ დასთანხმდება, რუსეთის მთავრობა მტკიცედ იდგება მის-მიერ ამორჩეულ გზაზედაო.

| | მყიდვე-ლისა. | გამყი-დველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,66 | 7,69 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 152 3/4 | 153 3/4 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — ,, | — , | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი | 241 1/4 | — ,, | — ,, |
| —მეორისა | 225 1/4 | — ,, | — ,, |
| 4% მესამე სესხისა | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | 194 1/4 | — ,, | — ,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

### გამოსადეგი ცნობანი

**რკინის გზის წასვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 20 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

**მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ**

**ბათუმიდამ გადის:**

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე ყკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკშის რ ა ო ბ ი ვით ღამის 2 საათზე, შორის. გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ, დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

**ფოთიდგან გადის:**

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

---


# განცხადებანი

## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
**კვირა-უქმე დღეებში**
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევამ 2 საათამდე. (150—78)

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიაში**
ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| თამარ ბატონიშვილი, რომანი ვრ. რჩეულოვისა. | „ | 50 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . | „ | 20 |

## მამოსადეგი ცნობანი
## პირველი კერძო საავადმყოფო
### ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

**ყ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 1/2 საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10—11 1/2 საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი**, 11 1/2—12 1/2 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი**, 1—1 1/2 საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

**ი. გ. ჩეპურკოვსკი**, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

**ა. ა. გადომსკი**, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7 1/2 საათამდის.

**ქ. ი. ფრანციუსი**, 7 1/2—8 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი საავადმყოფოსი, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.




ტფილ. გამოფენა.




ვერცხლისა




ოქროსი

## ალექსი თუთაევის
ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ
**ტფილისში:**

ვიღებ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასად ზეთს, ყოველ ნაირ ზეთიანს და მშრალ კრასკებს, აგრეთვე ლიტო-ტიპოგრაფიისას და ამათ მოწყობილებას, კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებშიაც 20%-ის ზეის გამოგზავნით, დანარჩენი საქონელის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). რაც შეეხება კარგი თვისების და კარგა შეზავებულის კრასკის გაყიდვას, ყველა მსყიდველი დარწმუნებული უნდა იყოს რომ უტყუარი იქნება. ჩემის საშუალებით და ჩემის თავდებობით შეუძლიან ყველას ყველანაირის სინიდისიანის ხელოსნებისშოვნა, მხოლოდ ცოტა ადრე უნდა შეგვატყობინონ.

(48—31) ალ. თუთაევი

---

გამოვიდა და. ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში
**ახალი წიგნი**
ვალერიან გუნიასი

## დრამები და კომედიები

—წიგნი პირველი—

1) **და-ძმა**, დრამა 5 მოქ.
2) **ჩათრევას ჩაყოლა სჯობიან**, კომ. 1 მოქ.
3) **მონადირე**, ვოდ. 1 მოქ.
4) **რაც არ მერგება—არ შემერგება**, კომ. 1 მოქ.
5) **არც აქეთ, არც იქეთ!**. ვოდ. 1 მოქ.

**ფასი 50 კაპ.**


Доз. ценз. Тифлисъ, 26-го Іюля 1893 г. სტამბა მ. შარაძისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე